

572
1974



ՀԱՅԿ

1974
ԱՅՅՈՐԱՅՅՈՐ
N 2

სამკრიველს გავგზავნი

ქ. გომიანილი

ამბრწუნდა მზე კაშკაშა,
ქანს უბრძანა:—ბრძანს უცდი,
დბტბდი, დუბურე,
მისს გავგზავნი 'ხმბრის სუსსი.—

მას გბბბ, ამბბბბბ
ქსბბბბ და ბბბ,
მბბბბბბბ ბრბბბბბბ
ბბბბბბ დაბბბ.

ქსბბბბბბ ბბბბბბ:
ბრბ, მსბ, ბბბ, ბბბ:
— სბბბბბბბ გავგზავნი
ბბბბბბბბ ბბბბბბბბ.

ნახბბ ბბბბბ ბბბბბბბ



ბბბ
ბბბ
ბბბ

— სანდრიკო, ჯარისკაცს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წესრიგში უნდა პკონდეს!

სანდრიკომ ტალახიან ჩექმებზე რომ დაიხედა, პირკატა ეცა. ჩემსკენ აღარ გამოუხედავს, თოფი ძირს დადო, ჩექმები გაიძრო და სახლში შეირბინა. მალე იქიდან ფეხსაცმლის საცხი და ჯაგრისი გამოიტანა.

მე პირის დასაბანად გავფეშურე. პირი რომ დავიბანე, ისევ ფანჯარასთან მივედი, ერთი ვნახოთ, რას აკეთებს სანდრიკო-მეთქი. სანდრიკოს ცალი ჩექმა სარკესავით გაეპრიანებინა და ჯაგრისით ახლა მეორეს სწმენდდა. თვალი რომ მომკრა, გამოღიმა და მახარა:

— სულ ლაპლაპებს!

— ვეხდავ. აბა, ჩაიცვი!

სანდრიკომ ჩექმები ჩაიცვა, ქული გაისწორა და თოფი აიღო.

— ახლა ნამდვილი ჯარისკაცი ხარ!—შევაქე სანდრიკო. ბიჟს ჩემი ქება გაეხარდა, სახეგაბადრულმა თოფი მარჯვენა ფეხთან მიიღვა და სარივით გაკიმულმა ზარივით წკრიალა ხმით მომიგო:

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

— თავისუფლად!—ვთქვი და მოწონების ნიშნად პატარა ჯარისკაცს გავუცინე.





ზუაკასი

ნოლარ ჯაქელიძე

ნოსატები ვახან ბუღიაშვილისა

ჩაქეტილ ძეძენარს ბუზღუნით მიადგა ლექსო და ფიწალზე წამოგებული ჯაგის კონა ღობეს ღამაბა. მერე მარგილებს წაებოტინა, კისერი წაიგრძელა და დაიძახა:

— ზურიაც, ბიჭო, ზურიაც!

საიდანაც ცხვირბირმოთხუბნული, თმახუჭუჭა ბიჭი გამოძერა და ლექსოს გაეხაურა:

— რა არის, ძია ლექსო?!

— მამაშენს გადადეცი, საკოცნელ პირს საფურთხებლად ნუ გაიხლი-თქო.

— რაზე ვითომო?

— რაზე, შვილოსა და, წუხელის თქვენი ძროხა გადმოსულა ბაღრაში და ფრთიანად გაუძოვნია მწვანელი. თუ კიდევ მოვატანე, ღმერთმანი, ფეხებს მოვამტვრე!

— მერე რა იცი, რომ ჩვენი იყო? ნაფეხურებზე იყანი, თუ რა?

— ერთი ამას დამიხედეთ!—გაცხარდა ლექსო,—შენ როგორა გვონია, ვითომ ვტყუი?

— რა ვიცი, აბა?—მხრები აიწურა ზურიამ.

— კარგი, კარგი!—დაიქადა ლექსომ და შინსაკენ გასწია.

ზურიამ, იმ საღამოსვე, მამამისს ყველაფერი უამბო, ეგრეა ჩვენი საქმეო.

— ერთი იმას უყურეთ!—გაბრაზდა ზურიას მამა,—ცოტა ჭკუას დაუხმე-თქო, თორემ, თუ ავაფრინე ოფოფები, მერე ნახოს მაგან ფეხების მომტვრევა. დაავიწყდა შარშან მაგისმა თხებმა ვენახი რომ გამოიხრეს, მითქვამს რამე?..

მეორე დღეს ლექსო და ზურიას მამა, სოფლის წყაროსთან გადაეყარნენ ერთმანეთს. შეპყვნენ, შეპყვნენ და ალბათ ცუდადაც დამთავრდებოდა მათი საქმე, სხვები რომ არ ჩარეულიყვნენ.

იმ დღიდან ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენ. აღრე თუ უერთმანეთოდ ლუქმას პირში არ იღებდნენ, ახლა სათოფედ არ ეკარებოდნენ.

ბევრს ეცადნენ სოფლის თავაკები, რომელიმე დაუთმეთო, მაგრამ გაგიგონიათ?—ქვა აავდეს და თავი შეუშვირეს...

ზურიაც გაოცებას იყო, არ ეგონა თუ მამამისი და ძია ლექსო ამდენ ხანს უმძრახად იქნებოდნენ. „ნეტა მართლა აღარ შეიძლება მათი შერიგება?“—ფიქრობდა ზურია.



ერთ დღესაც, ზურია ადგა და მშობლებს უჩუმრად ძია ლექსოს სახლ-კარს მიადგა.

— ძია ლექსო!—გასძახა ბიჭმა ეზოში მოფუს-ფუსე ლექსოს.

ლექსომ მაშინვე იცნო ზურიას ხმა, მისკენ გამოსწია და უნიათოდ ჰკითხა:

— რა გუნებავს!

— როგორა ხარ?—გაუღიმა ბიჭმა ლექსოს.

— როგორა ვარ და ძალიან კარგად, რა გინდა?

— არაფერი, ისე გკითხე, როგორა ხარ—მეთქი!

— ჰო, ჰო! სულ ჩემი დარდი არა გაქვთ შენ და მამაშენს. გასწი, დამეკარგე აქედან!

ზურია არ მოელოდა ასეთ შეხვედრას და ცოტა არ იყოს, ეწყინა. თუმცა ადვილიდან ფეხი მაინც არ მოუცვლია.

— ძია, ლექსო!—თავი არ აუღია ბიჭს, ისე ჩაილაპარაკა,—მამაჩემმა ვირის ორთვალა მათხოვეო!

— რაო, რაო?—სახე მოედრიცა ლექსოს,—ვირის ორთვალას კი არა, ჭირს ვათხოვებ მაგას!

— მერე რა იქნება, რომ ათხოვო, ჰა?—არ ეშვებოდა ზურია.

— ვახ, ეს ვინ არის, კაცო! ბიჭო, არ ველაპარაკები და როგორ უნდა ვათხოვო?

— მე ხომ მელაპარაკები?—ეშმაკურად აჰხედა ზურიამ ლექსოს და ისევ გაუღიმა.

— მერე?

— ჰოდა, მე მათხოვე?

— შენც ადექი და მიეცი, კაცო, რა მოხდება, ვითომ!—ჩაერია საქმეში ლექსოს ცოლი.

დიდი ჯუჯღუნის შემდეგ, ლექსომ ხელი ჩაიქნია, რაც გინდათ ის ჰქენითო და სადღაც წავიდა.

ზურიამ ორთვალას ხელი დაავლო, შინისაკენ გააცუხცუხა, ეზოში უჩუმრად შეავორა და სახლის უკან, თივის ზვინს ამოაფარა.

ზურია ახლა მამამისს შეუჩნდა, ძია ლექსომ;—ქალაქს მივალ და ბოხობი მათხოვეო.

— რაო?—თვალეზი დააჭყიტა ზურიას მამამ,—ბოხობს არა, შავ ქეას ვათხოვებ!

— ძალიან შემოგეხვეწა და!—აღარ იშლიდა ზურია,—ვითომ რა მოხდება, რომ ათხოვო?

— რა მოხდება და თავი კრუნის მუცელს რომ მიუგავს, იმის დანახურს მეღაღავიხურავ?

— კარგი რა, ათხოვე მამი...

მერე, ზურიას, დედაც წაეშველა, ათხოვე ნუ-

ღარ ჯოტობო.

— ათხოვეთ და ათხოვეთ, ჯანდაბას მაგის თავი.

— ზურია ისევ ლექსოს ეწვია და უთხრა:

— ძია, ლექსო, მამაჩემმა; პატარა ხანს ხანჯალი გამომიგზავნო!

— ბიჭო, შენ რა, აღარ მეშვები!—ახლა კი შეუყვირა ლექსომ.

— ზურია ცოტა კი შეცბა, მაგრამ ინტიმბარი არ გაიტეხა და თხოვნა გაუმორა...

— ჰე, რა ბიჭი ხარ, კაცო!—როგორც იქნა სახე გაეხსნა ლექსოს,—არა, მინც, ხანჯალი რაში დასჭირდა, მამაშენს?

— რა ვიცი, ძროხა უნდა დავკლაო.

— ძროხაო?—თავი მოიქექა ლექსომ,—გაგიჟებულა ის ბედშავი, იმ მეწველ ძროხას რომ კლავს, მერე რას აბირებს?

— ეგრე კი თქვა და, ქვეყანას გადამიკიდაო, მეგობრები შემამოულაო, მაშ!

— დახე, დახე!—ესიამოვნა ლექსოს,—ჰოო, ეგ კი მართალია! კარგი, წაიღე, მეტი რა გზაა!.. იმ საღამოს კი, ზურია იმ ლექსოს სახელით, მამამისს ტიკი სთხოვა.

— კიდევ რა მინდაო?—შეუბღვირა ბიჭს.

— ეგრე დამაბარა და!..

— დამაბარა!—გამოაჯავრა ზურიას,—ძალიან შემომეჩვია აი, რომ გასკდეს, ხმას მინც არ გავცემ!..

— კარგი ახლა შენც!—დაუტატანა ცოლმა,—ზოხონი ათხოვე კაცსა და ტიკზე უარს ეუბნები.

— ვაა! ეს რა ხალხია, კაცთან უმძრანად აღარ დაგტოვებენ! აიღეთ და მიაშავეთ!

— ზურია კვლავ ლექსოსთან გავარდა და უთხრა:

— მამაჩემმა; მაყალი მათხოვეო, თანაც შემოგითვალა, საღამოს მწვადებზე მეწვიეო.

— მწვადებზეო?—თვალეზი ააპარბალა ლექსომ და ცოლს გადახედა,—გესმის, ქალო, მწვადებზეც რომ მპატიჟებს ვაჟბატონი?

— მერე? შენც ადექი და წადი, როდემდე გინდათ ეგრე იყოთ? ხომ ხედავ, ისევ მიტომ გავჯობა!

— მაჯობა კი არა, იცის, დამნაშავეა და აქეთ მეხვეწება, ჰი, ჰი, ჰი!..

მზე მთას ამოეფარა თუ არა, ლექსომ თავის მარანში ხულიტრიანი დოქი სანაქებო ღვინით გააპიბინა და ორღობეს ჩუმი ღლინით გაუყვა.



— მასპინძელიო!

სტუმარს თვითონ ზურისა მამა, მიტო, გამოე-
გება. ჭიშკართან ლექსო რომ დალანდა, პირი
ლიად დარჩა. სიტყვა ვერ დასძრა.

— მამი!—ჩამოქარა ზურამ მამამისი,—რაღას
უდგებარ, ხომ ხედავ ძია ლექსო შინ გვეწვია,
მოიპატიე?..

— მობრძანდი, რა?—გამოცოცხლდა მიტო.

მეზობლებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და მას-
პინძელმა შინ შეიხმო სტუმარი. დიასახლისმა
ხელდახელ სუფრა გააწყო.

ზურია მოშორებით ჩაყუნცულიყო და სმის
ემხში შესულ უფროსებს გაავაციცებით შეპყუ-
რებდა.

— ლექსო!—დაარღვია სიჩუმე ზურისა მამა.
—მართლად, იმ ბოხობს აღარ მიგზავნი?

— რა ბოხობი. მიტა?—წარბები შეჭყარა
ლექსომ. ბოხობზე რა მოგახსენო, მაგრამ ვი-
რის ორთვალა თუ აღარ გჭირდება, ხვალ ამო-
მიგორე, მენი ჭირიმი.

— რა ვირის ორთვალა?—ვერ მიუხვდა მიტა
მეგობარს.

— მმ!—ჩაელიმა ლექსოს, იქნებ ხანჯალზეც
უარი მითხრა? ან იმ ძროხას რაზე ჰკლავდი შე
ჩემი ცოღვით სავსე, არ შეგებრალა მინც?

— რა ძროხა. რის ხანჯალი, რეებს ლბმრასა...
კობ, ლექსო?..

კუთხეში მიმგდარი ზურია, მათი შემხედვა-
რი, სიცილით იგულებოდა.

ამასობაში, შუკაზე ნახირი აბღავლდა: ნიმა
ძროხა ნახირს გამოეყო და ზურისა ეზოს მია-
შურა.

ლექსო ვაოგნებული ვასცქეროდა სათონისთან
გარინდულ ძროხას და ვერაფერს მიმხედარიყო.

— კაცო, მაიცა, მაიცა!—ბოლოს ჩაილაპარა-
კა ლექსომ, ღვინით სავსე სასმისი მაგიდაზე
მძიმედ დაასვენა და ზურისა ვახედა.—ჭაიტ, შე
ვირის თავ-ფეხო! გამაცურე განა?

— ძია, ლექსო!—უცებ გული ამოუჯდა ბიჭს.—
მე მინდოდა... რომ... თქვენ!..

— ერიპა! სატირელი რა გაქვს, შეილო!—
გაელმა ლექსოს, მერე წამოღდა, ბიჭს ხელი
მოპხვია და აკოცა.

ზურამ თვალეზი შეიმშრალა და ახლა მამა-
მისს მიაჩერდა, რას მეტყვისო.

— მიტა?—ლექსო ისევ მაგიდას მიუჯდა,
ჭიათ აილო და მეგობარს გადახედა.—შენ უნდა
დაიკვებო, ბიჭი მაყავსო. მოდი, ამ ჭიქითა, შუა-
კაცს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! ენაცვალოს მამა!

ნაგა და კაგა

პარლუ ვაზაშაძე

ნახატი თამარ ჩიჩინაშვილისა

ზაფხულის თბილი ღამეა, მყუდროებაა
ირგვლივ. ნატა აივანზე წვეს და მშვიდად
ძინავს.

— გესმით სუნთქვის ხმა? ყური მიუგდეთ,
გესმით. არა? ეს ნატაა, ძინავს.

„ბრაბ!“—მოაღინა აივანზე უცბათ რალა-
ცამ.

ნატა შეიშმუნა, თვალეზი დააქუცია და
სმენად იქცა. აივნის კუთხიდან კატის კრუ-
ტუნნი შემოესმა, კატამ რალაც შეათამაშა.

— თვეი!—გაუელვა ნატას და ზიზლით
გააქრყოლა. საბანი ვადაიხადა, მიმოიხვდა:
კუნაპეტო ღამეა, ვარსკვლავები აღარ ჩანან—
ღრუბელი ჩამოწოლილა. ცა საწვიმრად ემზა-
დებდა.

— „წკაბ-ხრაბ“.—შემოესმა ნატას.—ქამს!—
გაიფიქრა მან და კატას დაუცაცხანა.

— მიაგ, მიაგ!—გამოვასუსლა კატა და პირი
გულის ამრევად გააწკაუნა.

ნატამ სახეზე საბანი ვადაიფარა. თვალეზი

დახუტა, იქნებ დამეძინოსო, მაგრამ ამაოდ.

კატის მომაბეზრებელი ხრამუნ-წკაუნნი
აღარ ასვენებს. ვადაბრუნდა და ყურები ხე-
ლისკუთვლით დაიფარა, ყველაფერი მიკურუნდა.

— კარგია!—გაიფიქრა კმაყოფილმა.—ნე-
ტავ რას შვრება. კატა! დაამთავრა ქამა თუ
არა?—ჩაეკითხა მერე თავის თავს. ყურები-
დან ჩამოაცოცა ხელეზი, კვლავ შემოესმა
ხრამუნ-წკაუნნი.

— ქამს!—თქვა ნატამ ხმამაღლა და გულ-
აღმა შეტრიალდა. მერე ლოგინზე წამოჯდა.
აივნის კუთხისკენ გაიხედა, იქ კატის ლანდი
მოჩანდა, გემრიელად მიირთმევდა ულუფას
და თან კრუტუნებდა.

ნიაგმა დაუბერა, წამოვიდა შხაპუნა. ნატას
დაგორდა. საბანი ვადაიფარა. უცდის, როლის
მომთავრებს კატა მომაბეზრებელ ხრამუნ-
წკაუნს.

„ვეღარ“ მორჩა?! ნეტავ რა იყო ამხელა,
ვირთხა ხომ არ დაიქირა?“—ფიქრობს ნატა



და თვალებს აპრაილავს. — დღე ძინავს, დამე
კი, თავვის ხერელთანა საათობით ჩასაფრე-
ბული...

კატა ჭამას მორჩა, საწოლზე შემობტა და
ნატას ფერხითი მოკალათება მოინდომა.

ნატამ დაუცაცხანა. კატა საწოლქვეშ შეძვ-
რა. მერე გამოიხედა, ალბათ გაიფიქრა: ნეტა
რას მერჩისო?

გამოიღარა. ყველაფერი მიწყნარდა. ნატა
თვლემს. მალე ჩემძინა კიდევ...

დღით რომ გამოეღვიძა. მზე უკვე აივანს
მოსდგომოდა. წვიმით გაგრილებული ხეები
საამოდ შრიალავდნენ. სტვენდნენ ჩიტები და

ქლურტულვდნენ მავთულზე შემომსდარი
მერცხლები. ნატა ლოვინზე წამოჯდა. კატა
ფერხითი მორთხმულიყო და უღარდვლად
ემძინა. ნატას გაახსენდა დამით მომხდარი ამბა-
ვი. აივნის კუთხისაკენ გაიხედა და რას ხე-
დავს! — იატაკზე ყრია კატის ნამუსრი თევზები.

— აი, თურმე რას ჭამდა ეს შეჩვენებუ-
ლი?! — იტიკიცა ხელი ლოყაზე ნატამ.

თევზები გუშინ დედამ მოიტანა...

გაბრაზებულმა ნატამ ფეხი ჰკრა კატას და
ძირს კისობიტგებით გაღმობავლო.

კატამ კული აიპოჩხა, საწოლის ფეხს კრუ-
ტუნით გაეკლასუნა და თევზებს მიაშურა.

სანადიროდ

ლავით ხარკია

მაძამ თოფი მომიტანა,
როდი უკმაობ კვეხნით,
სასწლეუტს თითი რომ გამოტყნა,
დაიქუსებს მესი.

როდის წაუვალ სანადიროდ,
იცნი, როგორ ვუელი?
მაგრამ მართლად რომ შემომსჯდეს
ტყეში რუსი მკელი?!



ელისო

ლილა სვილია

ნაწაწინა ელისო
ბანხე ზის და ძღერისო.
ჭიშკარს თვალს აზ ამორებს —
ბებოს მოსულანს ელისო.
ასკინკილით აირბენს,
ასკინკილით ჩაირბენს,
ბებიისგან მოკლდის
კაბებს ნაირ-ნაირებს.
გოგონაბ ისეთი
ემძავი და მომჭირნე,—
ასალს თვითონ ჩაიცვამს,
ძიკლს — ჩააწყვეს თოჯინებს.



ჩემი პაპა

ნოლარ შაბანაძე


ზაზა იცნობდა ტყეებს,
 მსხვერპლებით დაქროდა;
 მხარზე შემხანა ეკიდდა,
 შიში არაფრის არ ჰქონდა.
 ფრინველებისთვის მუდამდღე
 ჯიბით საკენკი დაჭქონდა.
 ირემს დიმილით სვდებოდა;
 წყალთან უწვობდა ქვაძარილს,
 ნერგებს შვილივით უვლიდა,
 იცოდა მათი წამალი.
 ასლა კი ტყეში ჯერ მიდის,
 უკვე მოხუცდა ძლიან,
 მაგრამ ჩვენს კარმიდამოში
 მუდამ ფრინველთა ჯარია.
 მოდიან, ზაზას უძღერენ,
 დიდ შიამაგებს, ასლობუებს,
 ტყიდან ირმები უვირინან,
 მის სამხდლობუებს ამბობენ.



სუკვილი

შაქრო საბლაშვილი

საზარელი, საძაგელი,
 დაწანწალებს ტყეში მტელი.
 მან არ იცის ფიქრი, ნატვრად
 იცის ბატონის გამოფატვრად.
 შემხვედრად ერთი, ასლა, —
 მოუსდებო ტყეის დანლა.





ქანცია

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები გიორგი კოინიშვილისა

ქანციას ლამაზი სურათი აჩუქეს. თვალი ვეღარ მოსწყვიტა, ისეთი საამო ფერადებით იყო დახატული. ადგა და თავის საწოლთან ჩამოიკიდა. სურათს დღე მზის სხივი აცისკროვნებდა, ღამე—მთვარის ნათელი. ქანცია ისე არ დაიძინებდა, რომ სურათის ყურებით არ დამტკბარიყო. აღარ იტყვიო, რა ეხატა ამ სურათზე?

შორს—ლურჯი მთები, სულ ახლოს კი—ერთი მოცუცქნული ქოხურა. ჩამტვრეული წითელი კრამიტის სახურავი თუშური ქუდივით გვერდზე მოჰქვევოდა, რიკულეებიანი აივანი კი არზიასავით ჰქონდა მოვლებული. ეტყობოდა, ის იყო გამოედარა, საწვიმარი ღარიდან ძაფივით გაბმული წვეთები გობში უხეფებდა იშლებოდა. გობზე შემომჯღარ ჩიორას ალბათ წყურვილი მოეკლა და სასოებით შესცქეროდა ცისარტყელას...

აი, ახლაც იწვა ქანცია და თვალი სურათზე

ჰქონდა მიშტერებული.

— ნეტავ, ამ სახლში ვინ ცხოვრობს?—ფიქრობდა გოგონა, იფიქრა, იფიქრა და ოცნებაში გადავიდა... თითის წვერებზე შედგა, ფრთხილად შეელო ქიშკარი. ესიამოვნა გოგონას ფეხქვეშ ნამიანი, აბრეშუმის ბალახი. ბიკის ეს კრელ-კრელი სარცხი ნეტავ ვიღამ მიაფინა ბუჩქებზე? აქეთ მიიხედა, იქით მიიხედა, მთელი კუნჭულკუთხე მოიარა, მაგრამ ვერავინ დაინახა. უცებ ფინის მოჰკრა თვალი. კიბის წინ იწვა და გიშრის თვალებით გამოსცქეროდა ქანციას. გოგონას სულაც არ შეშინებია, „ცუგრი, ცუგრიო“ დაუყვავა და იმანაც კული ააქიცინა,—ხომ არა გზიოა?—ქანციამ მასპინძელთან ჩაიმუხლა,—მზიოა?—გაიკვირვა ფინიამ და მოლოკილ, პირ-წატხილ ჯამისაკენ მიახედა.

— შეგვტოვოს!—ზურგზე ხელი გადაუსვა ქან-

ციამ და ჰკითხა:—პატრონი გყავსო?

— როგორ არა მყავსო!—გაიოცა ფინიამ და ზედიზედ შეჰქეფა. მიუხედა ქანცია: სამუშაოდ არიან წასულები, ვერა ხედავ, მზე შუბისტარ-ზეაო.

— შეიძლება შინ შევიდე? — ჩაუჩურჩულა ქანციამ.

— რატომაც არა, ქურდი არა ხარ და ავაზაკი!—ფინიამ თანაგრძნობით მილულა თვალი.

ქანციამ ციმციმ აირბინა კიბე და კარს ურდული გადახსნა, წითელი ფილაქანი ისე იყო მოკრიპებული, ერბო აიკრიფებოდა. ცალ მხარეს, მთელ სიგრძეზე, კიდემოაჯირიანი, ფარდაგადაფარებული ტახტი იდგა და ზედ ატლასით შემოსილი მუთაქები წამოგორებულეყვნენ, ზოგი მოკლე, ვაბერილი, ზოგი გრძელი, ჩაწვრილებული... ბუხარში ჯერ ისეც ღვიოდა ნაღვერდალი. ქანციამ კოჭობში ჩარჩენილი ოძით უელი ჩაიკოკლოზინა. მერე, მიიხედ-მოიხედა, სარკმლის რაფაზე საჩეჩელი დაინახა, კბილებში მატყლი ჰქონდა ჩარჩენილი, გვერდით კი ფთილის კოკოლა ეწყო. გოგონამ ტახტზე მოიკეცა, საჩეჩელი წინ დაიდგა და მატყლს ჩეჩვა დაუწყო, თან ღლინებდა:

პაწაწინა, ქანცია,
ფარჩის კაბა გაცვიან...

ღლინ-ღლინში კობტა ფთილა შეკრა. კოკოლას თავზე დააფინა და თვალი სარკმლის იქით გაეჭეცა. მწვანე სერები შორს, შორს, წამოყუდებულ ლურჯი მთების კალთებში იკარგებოდა.

მთებს უეცრად თეთრი ღრუბლები გადმოეფარა. შეწუხდა ქანცია. უცებ ერთი ქულა ღრუბელი მოსწყდა და გოგონასაკენ გამოცურდა: „წამო, მთის მწვერვლებზე შემოგატარო.“ ქანციამ ნეტარებით გაუწოდა ხელები, ბუმბულავით ამჩატდა და ძილმა მიულულა თვალი...





პაჭარა სანდრო და ღიღი ალექსი

მინაილ ძვლინიძე

სანდროს ეზოში ღიღი ბიჭი ცხოვრობს, ალექსი ჰქვია. ალექსი მეშვიდე კლასშია; გრძელყურა და მოკლეფეხებიანი ძალი ჰყავს. ჯექას ეძახის. ჯექა პატარაა, მაგრამ ისე ხმამაღლა ყეფს, მისი ყველას ეშინია.

ერთხელ სანდრო და მისი მეგობარი ოთარი ეზოში თამაშობდნენ. კედელთან ალექსის ველოსიპედი იდგა, რომელსაც ალექსი ახლოს არავის აჯარებდა.

— პატარებისათვის ორთველიანი ველოსიპედები არისო და იმით ისეირნონო.

ბიჭებმა იცოდნენ ეს, მაგრამ რაკი ალექსი არსად ჩანდა, ველოსიპედზე შეჯდომა გადაწყვიტეს და გამოაგორეს შუა ეზოში. ტარება არც ერთმა არ იცოდა, — ოთარს საუკე ვეირა. სანდრო კი ზედ აძრომას ცდილობდა. ბევრი ეწვალა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს ველოსიპედი გადაბრუნდა და ორივე, სანდროცა და ოთარიც ქვეშ მოიყოლა.

ამ დროს ეზოში ველოსაპედის პატრონი

შემოვიდა. ჯექასთან ერთად ქუჩაში სასაფრნოდ გასულიყო. მის დანახვაზე ონავრებმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოუსვენს. მათ ალექსისა იმდენად არ ეშინოდათ, როგორც ჯექასი. ძალი ხმამაღლა ყეფდა, პატრონს ხელიდან უსხლტებოდა და ბიჭებისაკენ მიიწვედა. ოთარი სანაგვე ყუთში ჩაძვრა და თავს უშველა, სანდრო კი, რადგან სახლისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდა, სხვა სადარბაზოში შევარდა, სადაც ძია ვანო, ცხოვრობდა. ბიჭმა ქოშინით აირბინა მესამე სართულზე და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი თვითონ ძია ვანომ გაუღო. ზოლებიანი პიუჟამა ეცვა. ფეხები ფლოსტებში წაყყო.

— ოჰ, სანდრიკი?! გამარჯობა შენი!

— ძია ვანო... — სანდრო სულს ძლივს ითქვამდა. — ალიკას ძალი აუშვია და მეშინია... სახლამდე მიმაცილეფთ, რა.

— კი, გენაცვალე.

ძია ვანომ ხელი მოკიდა სანდროს და კი-

ბეზე დაეშვნენ. ეზოში, სადარბაზოსთან, ალი-
კა დახვდათ, სანდროს ელოდებოდა. ალბათ
იფიქრა, სულ ხომ არ იჯდება სადარბაზო-
შიო, დაინახა თუ არა, მისკენ გაიწია, მაგ-
რამ ძია ვანოს შეძახილმა ადგილზე გააქვეა:

— ჰაიკ, შე არამზადავ! ხელი არ ახლო!
რა დაგიშავა, მიდის თავისთვის. გირჩევნია
მაგ მხეცს მიხედო, მაგის შიშით ეზოში კაცს
ვერ გაუშვია!

ალიკა სახტად დარჩა. ვერაფრის თქმა ვერ
მოახერხა და იღვა პირდაღებული. ძია ვანომ
სანდროს დიდის ამბით მიაცილა სადარბა-
ზომდე, უფრო მეტიც—სახლში შეიყვანა. სა-
ნამ სადარბაზოში შევიდოდნენ, სანდრომ თა-
ვი მოაბრუნა, გაიჭყანა და ძია ვანოსაგან
შეუმჩნევლად, ალიკას ენა გამოუყო.

გავიდა რამდენიმე დღე, ალიკა სანდროს
ალარ შეხვედრია. ერთხელ სანდრო სკოლი-
დან ბრუნდებოდა და ეზოში კაციშვილი არ
ჩანდა, უტბად ღობეზე მიბმულმა ჯექამ აიწ-
ყვიტა და სანდროს გამოეკიდა. გულგახეთ-
ქილმა ბიჭმა ჩანთა დაავლო და „მიშველეს“
ძახილით ქუჩისკენ გაიქცა. სწორედ ამ დროს
ეზოში ალიკა შემოვიდა. დაინახა დამფრთხა-
ლი ბიჭი, გაავეებული ძაღლი და მათ შუა
ჩაღვა.

„ჯექა!“—ისეთი ხმით შესძახა, რომ ძაღ-
ლი იმწამსვე დამშვიდდა და კულის ქიცილით
მიუაღერსა პატრონს, თან კედელთან ატუ-
ზულ სანდროსკენ იყურებოდა და იღრინე-
ბოდა.

ალიკამ ჯექა ჯიხურისკენ წაათრია, მერე
მოიხედა, გაუღიმა გაფითრებულ სანდროს და
უთხრა:

— რამ შეგაშინა, ბიჭო? კი არ გიკბენდა!
მარტო ყოფნა მოსწყინდა და გავეთამაშა.

სანდროს არც გაუგია მისი სიტყვები. თა-
ვი დახარა, ძირს დადგებული ჩანთა აიღო
და დარცხვენილმა თავის სადარბაზოს მია-
შურა.





ხტუნია ბაჭია

ფრიდრიხ კოლში

ნახატები მანანა პერალიძისა

ეს ამბავი გვიან შემოდგომაზე მოხდა. მზე ძლივს ქიატობდა და ოდნავ ათბობდა არემარეს. ხეებს აქა-იქ შერჩენოდა თითო-ორიღა ფოთო-

ლი. წითელ-ყვითელი ფოთლები, დაღილი პებლებით, ფარფაღით ეშვებოდნენ მიწაზე. ბაღახიც გაყვითლებულიყო და გამხმარიყო.

კურდღლის ოჯახი ეფაღება ჯამთრისათვის

— აბა, მარდა, — ეუბნებოდა თერთკათობა მამა კურდღელი ბაჭიებს, — ბინა საზამთროდ უნდა მოვაწყუთ! ღებებისათვის ფუმფულა ხავსი და თივა ხომ გვინდა? კომბოსტო და ქარხალიც მოსამარაგებელი გვაქვს.

ჯერ გვერდითა ხვრელები გავთხაროთ, თორემ თოვლმა თუ ამოგვიქოლა კარი, ჩვენი სერიი მაშინ ნახეთ!

— შენც არ გარგებს მხართეძოზე წამოწოლა, ხტუნია! — უბრძანა მამა კურდღელმა თავის უმცროს ვაჟს.

ეს სახელი ყურცქვიტას თავისიანებმა შეარქვეს, რადგან ხტუნვასა და მდაყებს არაფერი ერჩია.

ხტუნიამ გულმოდგინედ დაიწყო მიწის თხრა,

მაგრამ მალე თათები ეტკინა და მზეს დაუწყუო ყურება. მზე ისე ქიატებდა და ფოთლებიც ისე მაცდურად ტრიალებდნენ ჰაერში, რომ ხტუნიას ცვეკვა-თამაში მოლუნდა.

— რატომ გაჩერდი? — შეუყვირა უფროსმა ძმამ ფუფომ, — არ გეყო, რაც მთელ ზაფხულს იხტუნე?

რა გაეწყობოდა. განაგრძო ხტუნიამ თხრა, მაგრამ ვაი რომ, თათები ასტკივდა! თათებს ცხვირც მიაშველა, მაგრამ მალე ესეც მობეზრდა.

ერთი ყირაზე გადასვლა ახლა მთელ ქვეყანას ერჩინა, მაგრამ უფროსი ძმა რას დაგიდევდათ ხტუნიას სურვილებს.

ხტუნია ცუღუტოგს

მეორე დღით, როცა მთელი ოჯახი მუშაობას შეუდგა, ხტუნიამ უფროს ძმას უთხრა:

— იცი, რა მოვიფიქრე? ამონათბარ მიწას ხვრელიდან შორს გავფანტავ; მაშინ გასასვლელში ადგილიც მეტი გვექნება და ჰაერიც.

ბაჭია ფეფო დაფიქრა, ერთ ხანს უღვაშები აცმაცუნა. ხტუნიას აზრი ჭკუაში დაუჯდა და ნება დართო, მიწა გაეზიდა.

ხტუნიამ კომბოსტოს ფოთლებისაგან სახელდახველად გაიკეთა ჩანთა, აავსებდა ჩანთას მიწით და ჰერი ბიჭო! — მიჰქროდა ტყის პირისაკენ. თვალს მოუფარებოდა თუ არა, კუნტრუშს იწყებდა და მალაყებზე გადადიოდა; აბა, რის ხტუნია იყო!

ასე გადიოდა დღეები. ხტუნია კმაყოფილი იყო თავისი ეშმაკობით.

ხტუნია მაჩვ ღამოპირის სკოლაში

ერთ მშვენიერ დღეს ხტუნიამ მიწით სავსე ჩანთა ტყის პირად სწრაფად დაცადა, ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა და გიყვარდეს, — მოჰყვა მალაყებს. მისდა საუბეფუროდ, ისეთი ნისლი იდგა, კაცი თვადთან თითს ვერ მიიტანდა.

ჰოდა, მალაყებში ვართუღმა ხტუნიამ ვერ მოზომა და ბრახ!.. რომელიღაც სოროში მოაღინა ბრაგვანი. ბევრი იგორა თუ ცოტა, რბილ ხავსზე დაგორდა. ხტუნიამ თვადები დააჭყიტა და შიშისაგან ბეწვი წამოეშალა: ზედ მის ცხვირწინ საშინელი, გრძელფეხრა რუხი მხეცი იწვა.

— საიდან გაჩნდა ეს თოვლის გუნდა! — დიუყირა მხეცმა.

— მე თოვლის გუნდა არა ვარ, მე... მე თეთრ-

ქათობა ხტუნისა მეძახიან.

— შენი მოსატყუებელი კბილი დიღიხანია მოვიცვადე, — წაიბურღლუნა რუხმა მხეცმა, — მე გახლავარ მაჩვი დაგობერი, ეს სორო ჩემი სამფლობელოა, შენ კი რით დამიმტკიცებ, რომ მართლა თეთრქათობა ხტუნია ხარ?

— ნახე, რა თეთრი და ფაფუკი ბეწვი მაქვს? ასეთი ბეწვი არავის არა აქვს ედამიწის ბურგზე.


— ერთი ამ ბაჭიას დამიხედეთ! — დასცინა მაჩვმა დაგობერმა, მაგრამ როგორც კი გადაუსვა ხტუნიას ფაფუკ ბეწვს თათი, თვადები დააჭყიტა, — ბიჭო!.. მართლა გვარიანი ბეწვი გქონია! იყავი ჩემთან, მე ავად ვარ და სათბურად გამომადგები.

გერმანულიდან თარგმნა ლალი უნჯიკიძე

(დასასრული შემდეგ ნომერში)



გამსვლელი



პეიკი

გაქვეთილი პირველი

ჩვენო პატარა მეგობარო!

ხომ გაგიგონიათ ნონა ვაფრინდაშვილის სახელი! ვისაც არ გაგიგონიათ, გეტყვით — იგი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია ჭადრაკში; თამაშით კი, თქვენი ტოლი უკვე თამაშობდა ჭადრაკს.

ჟურნალ „დილის“ რედაქცია დღეიდან გამოაქვეყნებს ჭადრაკის გაკვეთილებს. შეძლებისდაგვარად, თქვენთვის გასაგებ ენაზე, გაგაცნობთ მისი თამაშის საიდუმლოებას, ანბანს.

ვინც გულისყურით მოეპყრობა ჩვენს გაკვეთილებს, ბოლოს იმასაც გაიგებს, თუ რატომ დავარქვით ამ განყოფილებას „გამსვლელი პეიკი“.

ჭადრაკი უძველესი თამაშია.

ვატაცებით თამაშობდნენ მას ყველა დროის გამოჩენილი ადამიანები — კარლ მარქსი, რუსო, ნაპოლეონი... უფრო მეტიც: დიდმა ლენინმა ვადასახლებაში, თვითონ, საკუთარი ხელით გააკეთა ჭადრაკი და საიამოვნებთ თამაშობდა მოცილილობის ჟამს.


ჭადრაკს ძველთაგანვე სცემდნენ პატივს საქართველოშიც. ცნობილია, რომ მზითვევში ქალისათვის „ვეფხვის ტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკიც გაუტანებიათ ხოლმე.

ჭადრაკი ბრძოლაა... საჭადრაკო დაფაზე (იხილეთ დიაგრამა), რომელიც ბრძოლის ველს წარმოადგენს, ერთმანეთის პირისპირ განლაგებულია ორი მტრულად განწყობილი „არმია“. ორივე ბანაკს თავისი მეფე და დედოფალი (ლაზიერი) ჰყავს. ბრძოლის მიზანია მოწინააღმდეგის მეფის „დატყვევება“, ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ — დაშმათება. როგორც ნამდილო ბრძოლაში, აქაც იმარჯვებს გონებაბაზვილობა, შეუპოვრობა.

როსა ინჰიკაული



გოგონას თევზი გაუტყდა. აბა, ნატეხები ამოხატეთ და იქნებ დაეხმაროთ თევზის გამთელებაში.



შთავარი რედაქტორი მუხრან მანავარიანი

სარედაქციო კოლეგია: აკაური გოგიავაძი, ლილა ერაძე, ჯივალ ლოლუა, ზურაბ ღოშიძე, მისაპლა მგებელიშვილი, ირემ მამებრაღიაშვილი (პ/მგ მღვიანე), შალვა მხაბერი (სამხ. რედაქტორი), გიორგი მჭედლიძე, ალექსანდრე ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი, დავით მახარა ზურაბ პაპანაძე

ტექნიკური რედაქტორი ბ. გომიშვილი

შესამართო რედაქციის გამომცემლობის, სტამბა—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მღვიანე—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამღვიანოს—93-98-16.

გამომცემლობა 15/11-78 წ. სელმოწერილობის დასაბეჭდად 18/1-74 წ. კალაღის ზონა 60X90, 14 სტ. ნაწ. ტელ. 25, ტიპაჟი 159.700. შეჯ. № 3677. „დია“ № 2. на грузинском языке. ფასი 20 კაპ

საქ. კ. ც. სა.
გამომცემლობა
მ. ლ. გ. გ. გ.
საქ. კ. ც. სა.

76055

123/46



„ზამთრის დღე“—ნახ. ინგა გაბუნიახი, 6 წ. ქუთაისი.

„თოვლის რაკეტა“—ნახ. ნინო წიქორიძე, 6 წ. ქუთაისი.

„ძველი ჯარისკაცები“—ნახ. ოთარ სარიშვილი, 9 წ. თბილისი.

„ხე“—ნახ. ნინო მამფორია, 7 წ. თბილისი.

„ნიანგი“—ნახ. ნიკო მელითაურია, 7 წ. თბილისი.

„ჩვენი ეზო“—ნახ. როინ ბუბრიკიძე, 6 წ.

„მენავე“—ნახ. ვახტანგ ნათაძე, 6 წ. თბილისი.

